# მოცვის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები



მოცვი ბუჩქოვანი კენკროვანი კულტურაა, რომელზეც, მაღალი სასურსათო ღირებულების გამო მოთხოვნა მზარდია. მოცვის ნაყოფი მკვრივია და, შესაბამისად, ტრანსპროტირებას, სხვა ნებისმიერ კენკროვან კულტურასთან შედარებით, კარგად უძლებს; შესაბამის პირობებში კარგად ინახება საშუალოდ სამი კვირის განმავლობაში.

ლურჯი მოცვის გასაშენებლად საჭიროა ტენიანი, მსუბუქი და კარგი დრენაჟის მქონე ნიადაგი. მოცვი განსაკუთრებით კარგად ხარობს მჟავე ნიადაგებზე. მას, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში აწარმოებენ. მოცვის მოსავლის აღების პერიოდი ივნისში იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება.

საქართველოში მოცვის ინტენსიური ბაღები ნაკლებადაა წარმოდგენილი, ეს მიმართულება განვითარების პროცესშია. ბაზარზე არასტაბილური და დაბალი მიწოდება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მოცვის მიმწოდებლები, ძირითადად, ველური მოცვის შეგროვებით არიან დაკავებულნი. ველური მოცვი შესაძლებელია ჩაითვალოს ბიოპროდუქტად, ვინაიდან იგი საქართველოს ტყეებში მოიპოვება.

## საინვესტიციო შესაძლებლობები

- ახალი ჯიშების ნერგების წარმოება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, სარწყავი სისტემები და სხვა)
- ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების მიწოდება კლიმატკონტროლირებადი სასაწყობო მეურნეობებისთვის
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- გადამამუშავებელი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- მოცვის ინტენსიური ბაღების გაშენება
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება
- პირველადი და გადამუშავებული პროდუქციისთვის შესაფუთი მასალების წარმოება (ყუთები, ქილები და სხვა)

## ბაზრები

### დარგვის და მოსავლის აღების პერიოდები




### ექსპორტი თვეების მიხედვით (ტონა)




წყარო: საქსტატი

### ექსპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

### ძირითადი საექსპორტო ბაზრები




წყარო: საქსტატი

| ფინანსური მაჩვენებლები* | |
|---|---|
| ფართობი (ბაღი) | 1 ჰა |
| საწყისი საინვესტიციო კაპიტალი | 30 460 ლარი |
| უკუგების პერიოდი | მე-5 წელი |
| IRR (7 წელი) | 32 % |